



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 006/13¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი ანა ქურდაძე

შეკითხვა:

რამდენად ეთიკურია აწარმოო საქმე შენი ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ?

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ადვოკატს ყოფილი კლიენტის მიმართ გარკვეული ვალდებულებები რჩება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების სახით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი კლიენტის მიღებისას. ადვოკატი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ თავი აარიდოს ისეთი ურთიერთობის დამყარებას მის ახალ კლიენტთან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ყოფილი კლიენტის ინტერესებსა და ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას. ამავე დროს „ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა.“ (აპკ-ის 3.) მან ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს და უნდა აიცილოს ინფორმაციის შასაძლო გამჟღავნების საფრთხის შექმნა, რადგან „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია.“ (აპკ-ის 4.1.) ადვოკატს არ ეზღუდება ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საქმის წარმოება, როდესაც დაცული იქნება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებელი მნიშვნელოვანი პრინციპები.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საქმის წარმოება არ ჩაითვლება საადვოკატო საქმიანობის პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სახის საქმიანობით ირღვევა ან საფრთხის ქვეშ დგება ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის პრინციპების განხორციელების შესაძლებლობა.

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fbb462b4e7.pdf/06%20June%202013%20006.13.pdf>